

შპს „საფეხბურთო კლუბი შუქურა“

შპს „საფეხბურთო კლუბი შუქურა“-ს
საჭიროებისათვის ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მინდვრის
მომვლელი სამკუთხედსაფარცხიანი სატრანსპორტო საშუალების
შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: 3414400- სპეციალური
დანიშნულების ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურების
ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის და
„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და
ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების
შესაბამისად. (იხ. <http://procurement.gov.ge/>)

2013 წელი

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 43000 (ორმოცდასამიათასი) ლარი

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. როგორც უდიდესი, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ა) დანართი №1-ში წარმოდგენილი ფორმა შევსებული სრულყოფილად;
- ბ) ფასების ცხრილი დანართი №2-ის შესაბამისად;
- გ) დანართი №3 შევსებული სრულყოფილად;

ტექნიკური დავალება

1. სატრანსპორტო საშუალებას უნდა ჰქონდეს შემდეგი აუცილებელი ტექნიკური პარამეტრები:

კატეგორია - სპეცტექნიკა

- 1.1. გადაცემათა კოლოფი : წინსვლა 6 სიჩქარე, უკუსვლა 2 სიჩქარე.
- 1.2. ძრავი: არაპირდაპირი შეფრქვევის ვერტიკალური თხევადი 4 ტაქტიანი, დიზელი.;
- 1.3. სიმძლავრე არანაკლებ 11,7 kw.
- 1.4. გარბენი: არაუმეტეს 50 კმ.
- 1.5. კუბატურა : არანაკლებ 700 კუბ.სანტიმეტრისა.
- 1.6. მაქსიმალური სიჩქარე არანაკლებ 16 კმ/სთ.
- 1.7. საწვავის ავზის მოცულობა: არანაკლებ 12 ლიტრისა;
- 1.8. სამუხრუჭე სისტემა: თხევადი ტიპის.
- 1.9. საჭე: მექანიკური ;
- 1.10 ბორბლების ზაზა: 1270 მმ - 1300 მმ
- 1.11 საბურავების ტიპი: გლუვზედაპირიანი საბურავები ხელოვნურ საფარიანი მოედნისათვის.
- 1.12. კლირენსი: არანაკლებ 270 მმ (სიმაღლე ზედაპირიდან)
- 1.13 წონა: არაუმეტეს 525 კგ.
- 1.14 ტვირთამწეობა : არანაკლებ 500 კგ
- 1.15 მართვის მეთოდი 4 wd
- 1.16 მაყუჩი: დაკეტილი
- 1.17 საჰაერო ფილტრი: დაკეტილი, მშრალი ქაღალდით.
- 1.18 ჰიდრავლიკური ბლოკის გადართვა: სტანდარტი.
- 1.19 წყლის ტემპერატურის მაჩვენებელი: სტანდარტი.
- 1.20 საწვავის რაოდენობის მაჩვენებელი: სტანდარტი
- 1.21 სიჩქარის მაჩვენებელი: სტანდარტი.
- 1.22 სამკუთხედი საფარცხის ზომები: არანაკლებ 180 სმ x180სმ x180სმ.

3. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

4. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

6. ანგარიშსწორება განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების შემსყიდველ ორგანიზაციაზე გადაცემიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

7. შესაძლოა ავანსის სახით გადახდილ იქნას ხელშეკრულების საერთო ღირებულების 100%, გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, რომლის მოქმედების ვადა უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდების ვადას 30 დღით.

8. საქონლის მიწოდების ადგილი: ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №49.

9. საქონლის მოწოდებს ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღე.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5 % პროცენტის ოდენობით;

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანა:

11.1. ტენდერის ჩატარების შედეგად დადებულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და აიტვირთოს სისტემაში ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

11.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – ლევან ზარამიძე სატენდერო კომისიის აპარატის წევრი – ტ. 593289252. მისამართი: ქალაქი ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141 მესამე სართული.